



საქართველო

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA

MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.მარნეული

N 165
14/01/2020

165-03-4-202001141619



<https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/>

მარნეულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახელების საერთო კრებების და ამომრჩეველთა კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ და „ე-ი“ პუნქტების, 85³ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „თ“ პუნქტების, 85⁴ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის **საფუძველზე**,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახელებებში, რომლებშიც, რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახელებების საერთო კრებები, ხოლო დასახელებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩეველების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩეველთან კონსულტაციები №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლის ასისტენტების განყოფილებას მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.
3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განსაზღვროს №1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურში და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან - 18-საათამდე, 2020 წლის 21 იანვრის ჩათვლით პერიოდში.

5. დასახელებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახელებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვრონ:

ა) ლერი ფანგანი (ტელ.: 599 85 99 69; ელ.ფოსტა: fanganileri74@gmail.com)

ბ) შალვა აბრამიშვილი (ტელ.: 595 64 44 34; ელ.ფოსტა: sh.abramishvili1980@gmail.com)

7. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე და მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.


8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე, ლაშა ლობჯანიძეს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

დანართი: 10 ფურცელი;

ზაურ დარგალი



მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

